

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 13 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 14.05.2021 წ.

ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგია

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1. ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის (შემდგომში – მეთოდოლოგია) მიზანია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების გაანგარიშების წესისა და პრინციპების განსაზღვრა.
2. მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად ტარიფების დადგენის მიზნით ხორციელდება რეგულირებული საწარმოს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტი კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ შესაბამისად.
3. მეთოდოლოგიით ტარიფების გაანგარიშებისას გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წამახალისებელი რეგულირების (ზღვრული შემოსავლების რეგულირება) პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფს რეგულირებული საწარმოს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის სტიმულირებას.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **არამატერიალური აქტივი** – რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი;

ბ) **არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები (ncOPEX)** – რეგულირებული საწარმოს დანახარჯები, რომლებიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით და რომლებზეც რეგულირებული საწარმო გავლენას ვერ ახდენს;

გ) **არარეგულირებადი აქტივი** – აქტივი, რომელიც არ გამოიყენება რეგულირებად საქმიანობაში;

დ) **აქტივის აღდგენითი ღირებულება** – დანახარჯების ჯამური თანხა, რომელიც საჭირო იქნება შესაფასებელი აქტივის ანალოგიური აქტივის შესაქმნელად, შესაბამისი ცვთის გათვალისწინებით;

ე) აქტივის თვითღირებულება – აქტივის შექმნის ან საწყისი შეძენის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა კომპენსაციის რეალური ღირებულების თანხა;

ვ) აქტივის ისტორიული ღირებულებით შეფასების მეთოდი – აქტივის ღირებულების შეფასება მისი შექმნის ან საწყისი შეძენის ფასით;

ზ) აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება – აქტივის თვითღირებულებას (ამავე აქტივზე განხორციელებული ინვესტიციის გათვალისწინებით) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია;

თ) დადებითი უბალანსობა – უბალანსობა, როდესაც მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების ფაქტობრივი ოდენობა აჭარბებს დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე შესყიდული ელექტროენერჯის ოდენობას;

ი) დამამძიმებელი უბალანსობა – დაბალანსების ჯგუფის მიერ გამოწვეული უბალანსობა, რომელიც უბალანსობის ანგარიშსწორების პერიოდში ზრდის ელექტროენერგეტიკული სისტემის უბალანსობას;

კ) დანახარჯების კასკადირების მეთოდი – ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის ზედა ძაბვის საფეხურს მიკუთვნებული ხარჯის ნაწილის ასახვა მომდევნო ძაბვის საფეხურს მიკუთვნებულ ხარჯებში;

ლ) ელექტროენერჯის გადამცემის ტარიფი – ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის ტრანსპორტირების მომსახურების ფასი;

მ) ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი – ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით ელექტროენერჯის ტრანსპორტირების მომსახურების ფასი;

ნ) ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგი – დადებითი სხვაობა ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში არსებულ ელექტროენერჯის ფაქტობრივ დანაკარგსა და შესაბამისი ქსელის ელექტროენერჯის ნორმატიულ დანაკარგს შორის;

ო) ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგი – კომისიის მიერ დამტკიცებული „ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ შესაბამისად, ელექტროენერჯის გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელისათვის კომისიის მიერ დადგენილი ელექტროენერჯის დანაკარგის დასაშვები ოდენობა;

პ) ელექტროენერჯის ფაქტობრივი დანაკარგი – კომისიის მიერ დამტკიცებული „ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების წესის“ შესაბამისად გაანგარიშებული ელექტროენერჯის დანაკარგის ფაქტობრივი ოდენობა შესაბამის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში;

ჟ) ელექტროენერჯის შესასყიდი ფასი – ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების შესავსებად შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯის გამანაწილებელი და გადამცემი სისტემის ოპერატორების მიერ დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე შესასყიდი ელექტროენერჯის საბაზრო ფასს და აღნიშნული ოპერატორების მიერ კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელ ტარიფებსა და საფასურებს (გადამცემის ტარიფი, ბაზრის ოპერატორების ტარიფები და საფასურები, გარანტირებული სიმძლავრის საფასური და ა.შ.);

რ) ეფექტიანობის ფაქტორი (X - ფაქტორი) – რეგულირებული საწარმოს პროდუქტიულობისა და საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის განაკვეთი,

რომელიც მოიცავს ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორს ($X_{ზოგ}$) და ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორს ($X_{ინდ}$);

ს) ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ზოგ}$) – კონკრეტული რეგულირებული საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის განაკვეთი;

ტ) ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ინდ}$) – კონკრეტული რეგულირებული საწარმოს ეფექტიანობის ზრდის განაკვეთი;

უ) ინვესტიცია – რეგულირებადი აქტივის შექმნის, შექმნის, მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან/და რეაბილიტაციისათვის განხორციელებული კაპიტალური დაბანდებები;

ფ) ინფლაცია – სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) საშუალო წლიური მაჩვენებლის პროცენტული ცვლილება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან;

ქ) კალენდარული წელი – პერიოდი პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;

ღ) კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა, რომელიც იანგარიშება გადასახადებამდე, კომისიის მიერ დადგენილი კაპიტალის (საკუთარი და მოზიდული) სტრუქტურის მიხედვით;

ყ) კაპიტალური დანახარჯები (CAPEX) – რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგებისა და ცვეთის/ამორტიზაციის ჯამი;

შ) კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები (COPEX) – რეგულირებული საწარმოს საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც გამოწვეულია შიდა ფაქტორებით და რომლებზეც რეგულირებულ საწარმოს შეუძლია გავლენის მოხდენა;

ჩ) მატერიალური აქტივი – რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალება, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა აღემატება ერთ წელს;

ც) მესამე მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი (მათ შორის: სახელმწიფო, მომხმარებელი და სხვა), გარდა რეგულირებული საწარმოს წილის/აქციების მფლობელისა, რომელიც ამავე რეგულირებულ საწარმოზე გასცემს სუბსიდიას, გრანტს, იხდის ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურს ან/და რეგულირებულ საწარმოს უსასყიდლოდ გადასცემს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს;

ძ) რეგულირებადი აქტივი – მატერიალური და არამატერიალური აქტივი;

წ) რეგულირებადი აქტივების ბაზა (RAB) – რეგულირებული საწარმოს მიერ რეგულირებად საქმიანობაში გამოყენებული მატერიალური და არამატერიალური აქტივები;

ჭ) რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (RCB) – სატარიფო წლისთვის კომისიის მიერ რეგულირებული საწარმოსთვის ნებადართული შემოსავალი, რომელიც საჭიროა რეგულირებული საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და მოიცავს გონივრულ ხარჯებსა და მიზანშეწონილ მოგებას;

ხ) რეგულირებული საქმიანობა – ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ან საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერირების საქმიანობა, რომელიც რეგულირდება კომისიის მიერ „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ჯ) რეგულირებული საწარმო – ელექტროენერჯის გადამცემი ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ან საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის

ოპერატორი, რომელსაც მეთოდოლოგიის საფუძველზე უდგინდება ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილების ან/და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფები;

3) **საბაზისო წელი (t-1)** – ტარიფის გაანგარიშების წლის წინა კალენდარული წელი;

3¹) **საბრუნავი კაპიტალი (WC)** – რეგულირებული საწარმოს საოპერაციო დანახარჯების დაფინანსებისათვის კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის ოდენობა;

3²) **„სამშენებლო ბლოკების“ მეთოდი** – რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრა მისი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით;

3³) **საოპერაციო დანახარჯები (OPEX)** – ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ან გამანაწილებელი სისტემის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის მომსახურებასთან დაკავშირებული კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯებისა (cOPEX) და არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების (ncOPEX) ჯამი;

3⁴) **საპროგნოზო უბალანსობის კოეფიციენტი** – უბალანსობის სიდიდის (კვტ.სთ) წილი მოხმარებულ ელექტროენერჯიაში (პროცენტი);

3⁵) **სატარიფო განაცხადი** – ტარიფის დადგენის ან/და კორექტირების მოთხოვნის მიზნით რეგულირებული საწარმოს მიერ მომზადებული განაცხადი;

3⁶) **სატარიფო რეგულირების პერიოდი (n)** – კომისიის მიერ განსაზღვრული პერიოდი, რომელზეც მოქმედებს კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი ტარიფები;

3⁷) **სატარიფო წელი (t+i)** – სატარიფო რეგულირების პერიოდის კონკრეტული კალენდარული წელი;

3⁸) **სპეციალური საოპერაციო დანახარჯები (spOPEX)** – კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების (cOPEX) ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს რეგულირებული საწარმოს საბაზისო წლის ფაქტობრივ დანახარჯს, თუმცა ექვემდებარება სატარიფო წლის კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებში ასახვას;

3⁹) **ტარიფის გაანგარიშების წელი (t)** – სატარიფო რეგულირების პერიოდის პირველი სატარიფო წლის წინა კალენდარული წელი;

3¹⁰) **უარყოფითი უბალანსობა** – უბალანსობა, როდესაც მომხმარებლის მიერ ელექტროენერჯის მოხმარების ფაქტობრივი ოდენობა ნაკლებია დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე შესყიდული ელექტროენერჯის ოდენობაზე;

3¹¹) **უბალანსობა** – ელექტროენერჯის მოცულობა, რომელიც წარმოადგენს უბალანსობის ანგარიშსწორების პერიოდში დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გაყიდული ან/და შესყიდული, ფაქტობრივად გამომუშავებული ან/და მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობებს შორის სხვაობას;

3¹²) **შემამსუბუქებელი უბალანსობა** – დაბალანსების ჯგუფის მიერ გამოწვეული უბალანსობა, რომელიც უბალანსობის ანგარიშსწორების პერიოდში ამცირებს ელექტროენერგეტიკული სისტემის უბალანსობას;

3¹³) **ცვეთა/ამორტიზაცია** – მატერიალური და არამატერიალური აქტივების ცვეთადი ღირებულების გადანაწილება მისი სასარგებლო მომსახურების ვადაზე;

2. მეთოდოლოგიაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. მეთოდოლოგია და მის საფუძველზე დადგენილი ტარიფები:
 - ა) იცავს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისაგან;
 - ბ) სტიმულს აძლევს რეგულირებულ საწარმოს, გაზარდოს ეფექტიანობა საკუთარი ხარჯების ოპტიმიზაციის საფუძველზე იმ პირობით, რომ არ მოხდეს რეგულირებული საწარმოს მომსახურების ხარისხისა და ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება;
 - გ) ხელს უწყობს რეგულირებული საწარმოს ფინანსური ამონაგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდის გზით;
 - დ) ხელს უწყობს რეგულირებული საწარმოს სტაბილურ და საიმედო ფუნქციონირებას;
 - ე) უზრუნველყოფს რეგულირებული საწარმოსათვის გამჭვირვალე, სტაბილური და სამართლიანი სატარიფო განაკვეთების დაწესებას.
2. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის დადგენილი გადაცემის ტარიფი მოიცავდეს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის მესაკუთრის ანაზღაურებას მიზანშეწონილი და გონივრული ოდენობით, კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესით“ განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.
3. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ქსელური აქტივებისა და მათში განხორციელებული, გასათვალისწინებელი ახალი ინვესტიციების სათანადოდ ანაზღაურებას, თუ აღნიშნული ინვესტიციები განხორციელებულია ეკონომიკურად გამართლებული და ეფექტიანი გზით.
4. რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის სტრუქტურის განსაზღვრისას გამოიყენება „სამშენებლო ბლოკების“ მიდგომის მეთოდი. ამ მეთოდით განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:
 - ა) კაპიტალური დანახარჯები;
 - ბ) კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;
 - გ) არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;
 - დ) საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო დანახარჯი;
 - ე) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, დანახარჯები ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების შესავსებად;
 - ვ) ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ საბალანსო პროდუქტების შესყიდვასა და დამხმარე მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯები
 - ზ) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, უბალანსობის ხარჯი;
 - თ) კორექტირების კომპონენტი;
 - ი) ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მომსახურების ხარისხის კომპონენტი.
5. უბალანსობის ხარჯის, კაპიტალური დანახარჯების და არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების, აგრეთვე კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების საპროგნოზო ნაწილის, კერძოდ, სპეციალურ საოპერაციო დანახარჯების (spOpex, ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაანგარიშება ხორციელდება საბაზისო წლის

დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგების და სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის საპროგნოზო დანახარჯების გათვალისწინებით, რომლის კორექტირება ხორციელდება „დანახარჯები პლუს“ მეთოდით, მეთოდოლოგიით განსაზღვრული კორექტირების პრინციპების შესაბამისად.

6. საბაზისო წლის დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით განსაზღვრულ კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში გამოიყენება „წამახალისებელი რეგულირების“ მექანიზმები, რაც გულისხმობს რეგულირებული საწარმოსათვის დანახარჯების ოპტიმიზაციის მიზნით გარკვეული სტიმულების დაწესებას, მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.
7. იმ შემთხვევაში, თუ დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგად გამოვლინდა კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პერიოდის ინფორმაცია, რომლის იდენტიფიცირებაც არ მოხდა წინა სატარიფო წლის (წლების) ტარიფების გაანგარიშებისას, კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გამოიყენოს საბაზისო წლის დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის შედეგების კორექტირებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაბამისი სატარიფო კომპონენტის კორექტირება განხორციელდება მეთოდოლოგიის IV თავში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.
8. კომისიის მიერ ტარიფები იანგარიშება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე.

მუხლი 4. სატარიფო რეგულირების და ტარიფის დადგენის პერიოდი

1. სატარიფო რეგულირების პერიოდი (n) განისაზღვრება 5 კალენდარული წლით.
2. კომისია ტარიფებს ადგენს სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის, ხოლო ტარიფების კორექტირება ხორციელდება მეთოდოლოგიის შესაბამისად.
3. იმ შემთხვევაში, თუ რეგულირებულ საწარმოს მეთოდოლოგიის ფარგლებში პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია უფლებამოსილია, შესაბამისი ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე სატარიფო რეგულირების პერიოდის ბოლომდე ან მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ჩათვლით.
4. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ძირითადი კომპონენტების სიდიდეებისა და ეფექტიანობის (X - ფაქტორი) ფაქტორის ფიქსირებულ განაკვეთებს კომისია ადგენს სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის.

თავი II. რეგულირებადი დანახარჯების გაანგარიშება

მუხლი 5. კაპიტალური დანახარჯები

რეგულირებული საწარმოს სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი (t+i) სატარიფო წლისთვის კაპიტალური დანახარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CAPEX_{t+i} = RAB_{t+i} * WACC_{t+i} + D_{t+i} \quad (2),$$

სადაც:

<i>i</i>	-	სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
<i>CAPEX_{t+i}</i>	-	კაპიტალური დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>RAB_{t+i}</i>	-	რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>WACC_{t+i}</i>	-	რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (პროცენტი);
<i>D_{t+i}</i>	-	წლიური ცვეთა/ამორტიზაცია შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი).

მუხლი 6. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა

რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი (t+i) სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RCB_{t+i} = CAPEX_{t+i} + cOPEX_{t+i} + ncOPEX_{t+i} + CNL_{t+i} + IC_{t+i} + BASC_{t+i} + WCC_{t+i} + TVCORR_{t+i} +/- Q_{t+i} \quad (1),$$

სადაც:

<i>I</i>	-	სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
<i>RCB_{t+i}</i>	-	რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>CAPEX_{t+i}</i>	-	კაპიტალური დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>cOPEX_{t+i}</i>	-	კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>ncOPEX_{t+i}</i>	-	არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);

CNL_{t+i}	- ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
IC_{t+i}	- გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის მიერ ქსელში ელექტროენერჯის დანაკარგის შევსების მიზნით ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ელექტროენერჯის შესყიდვისას წარმოქმნილი უბალანსობის ხარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც იანგარიშება მეთოდოლოგიის მე-13 მუხლის შესაბამისად (ლარი);
$BASC_{t+i}$	- ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ საბალანსო პროდუქტების შესყიდვასა და დამხმარე მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯები სატარიფო წლისთვის (ლარი);
WCC_{t+i}	- საბრუნავი კაპიტალის საპროცენტო ხარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$TVCORR_{t+i}$	- დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება მეთოდოლოგიის 21-ე მუხლის შესაბამისად (ლარი);
Q_{t+i}	- კომისიის მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტივით/აქტივობით რეგულირებული საწარმოსთვის განსაზღვრული მომსახურების ხარისხის საერთო სტანდარტის წლიური სამიზნე მაჩვენებლის/მაჩვენებლების გაუმჯობესება/გაუარესების ფინანსური შედეგი (ლარი).

მუხლი 7. რეგულირებადი აქტივების ზაზა

1. რეგულირებადი აქტივების ზაზის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც რეგულირებული საწარმოს მიერ რეგულირებულ საქმიანობაში გამოყენებული რეგულირებადი აქტივები, ასევე კომისიის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებული რეგულირებული საწარმოს საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული აქტივები.
2. რეგულირებადი აქტივის ღირებულება განისაზღვრება ისტორიული ღირებულების შეფასების მეთოდით.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც რეგულირებადი აქტივის ღირებულება არ დგინდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მეთოდით, კომისია იყენებს აქტივის აღდგენითი ღირებულებით შეფასების მეთოდს.
4. სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო ქონების (აქტივების) პრივატიზების შემთხვევაში რეგულირებადი აქტივების საწყის ისტორიულ ღირებულებად მიიჩნევა ქონების საპრივატიზაციო ღირებულება, შესაბამისი საპრივატიზაციო პირობების გათვალისწინებით.

5. სახელმწიფო/მუნიციპალურ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების შემთხვევაში, თუ აღნიშნული რეგულირებადი აქტივების ისტორიული ღირებულების დადგენა შეუძლებელია, რეგულირებადი აქტივების ისტორიულ ღირებულებად მიიჩნევა საწარმოს კაპიტალში შეტანილი ან/და საწარმოთა შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) შედეგად მიღებული რეგულირებადი აქტივების საბალანსო ღირებულება..
6. რეგულირებული საწარმოს მიერ რეგულირებადი აქტივების სხვა რეგულირებულ საწარმოზე გაყიდვის შემთხვევაში, კომისია შესაბამისი ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინებს რეგულირებადი აქტივის ხელმეორედ გაყიდვის ღირებულებას და იხელმძღვანელებს ამავე აქტივის ისტორიული ღირებულებით.
7. თუ რეგულირებული საწარმოს მიერ დაგეგმილი ინვესტიციები (კონკრეტული საინვესტიციო პროექტი) არ განხორციელდა კომისიის მიერ შეთანხმებული საინვესტიციო გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (არ დასრულდა საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი სატარიფო წლის ბოლომდე), ასეთი ინვესტიციები განიხილება, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და აღნიშნულ ინვესტიციაზე რეგულირებული საწარმოს მიერ მიღებული კაპიტალური დანახარჯები ექვემდებარება კორექტირებას მეთოდოლოგიის შესაბამისად.
8. კომისია უფლებამოსილია, ტარიფის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინოს რეგულირებული საწარმოს მიერ შესაბამის პერიოდში ფაქტობრივად განხორციელებული ის ინვესტიცია, რომელიც არ შეთანხმებულა კომისიასთან კანონმდებლობით დადგენილი წესით და არ იქნება მიჩნეული მიზანშეწონილად ან/და გონივრულად.
9. რეგულირებადი აქტივების ბაზაში არ მონაწილეობს:
 - ა) ინვესტიცია, რომელსაც კომისია არ მიიჩნევს დასაბუთებულად და გონივრულად;
 - ბ) ინვესტიციის ის ნაწილი, რომელიც აღემატება გონივრული დანახარჯის ოდენობას და რეგულირებული საწარმოს მიერ არ იქნა გაწეული მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად;
 - გ) რეგულირებულ საქმიანობაში გამოუყენებელი რეგულირებადი აქტივები;
 - დ) დაუმთავრებელი მშენებლობა.
10. სატარიფო მიზნებისთვის კომისია რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულებას შეამცირებს ინვესტიციის იმ ნაწილით, რომელიც დაფინანსებულია მესამე მხარის მიერ. ასევე, კომისია უფლებამოსილია რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულებაში არ გაითვალისწინოს რეგულირებული საწარმოს წილის/აქციების მფლობელის მიერ კაპიტალში შეტანილი მესამე მხარისაგან გადაცემული აქტივის ღირებულება, თუ რეგულირებული საწარმოს წილის/აქციების მფლობელს ან მესამე მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო ან საწარმო, რომლის წილის/აქციების არანაკლებ 50%-ს ფლობს სახელმწიფო.
11. კომისია ამ მუხლის მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაუმთავრებელი მშენებლობის შედეგად შექმნილი რეგულირებადი აქტივის თვითღირებულებაში გაითვალისწინებს მშენებლობის პროცესში რეგულირებული საწარმოს მიერ მშენებლობის დაფინანსებისათვის აღებული გრძელვადიანი სესხის ფაქტობრივი წლიური საპროცენტო განაკვეთის ოდენობით გადახდილი სესხის პროცენტის კაპიტალიზირებულ ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს მეთოდოლოგიით განსაზღვრული სესხის ღირებულების (rd) განაკვეთისა.

12. რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება განისაზღვრება ამ ბაზაში ჩართული რეგულირებადი აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულებით.
13. სატარიფო რეგულირების მიზნებისთვის საკანონმდებლო აქტების და კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნის შემთხვევაში კომისია ვალდებულია, ხოლო სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ტარიფში ასახოს ზემოაღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე რეგულირებული საწარმოს მიერ ექსპლუატაციიდან გაყვანილი რეგულირებადი აქტივების შესაბამისი კაპიტალური დანახარჯები. ამასთან, კომისია უფლებამოსილია, ზემოაღნიშნული აქტივები განიხილოს რეგულირებად აქტივებად მათი სასიცოცხლო ვადის ამოწურვამდე ან შესაბამისი სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში ერთჯერადად ასახოს აღნიშნული აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება.
14. რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი (t+i) სატარიფო წლის ბოლოს იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$RAB_{t+i} = TA_{t-1} + IA_{t-1} - TP_{t-1} + \sum_{j=0}^i (pINV_{t+j} - RA_{t+j} - D_{t+j} - pTP_{t+j} + pDTP_{t+j}) \quad (3),$$

სადაც:

i	-	სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
RAB_{t+i}	-	რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლის ბოლოს (ლარი);
TA_{t-1}	-	მატერიალური აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება საბაზისო წლის ბოლოს (ლარი);
IA_{t-1}	-	არამატერიალური აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება საბაზისო წლის ბოლოს (ლარი);
TP_{t-1}	-	მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება საბაზისო წლის ბოლოს (ლარი);
RA_{t+j}	-	ტარიფის გაანგარიშების და შესაბამისი სატარიფო წლის საინვესტიციო გეგმის ფარგლებში ექსპლუატაციიდან გასაყვანი აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება (ლარი);
$pINV_{t+j}$	-	კომისიის მიერ დადგენილი წესით შეთანხმებული რეგულირებული საწარმოს საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული რეგულირებადი აქტივების ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);

D_{t+j}	-	წლიური ცვეთა/ამორტიზაცია შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც ერიცხება არსებულ და საინვესტიციო გეგმით შეთანხმებულ რეგულირებად აქტივებს (ლარი);
pTP_{t+j}	-	მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი რეგულირებადი აქტივების ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$pDTP_{t+j}$	-	მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილ რეგულირებად აქტივებზე დარიცხული წლიური ცვეთა/ამორტიზაცია შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი).

მუხლი 8. ცვეთა/ამორტიზაცია

- 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ ექსპლუატაციაში შესულ რეგულირებად აქტივებთან დაკავშირებით გამოიყენება ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდით განსაზღვრული, რეგულირებადი აქტივის ექსპლუატაციაში შესვლის წლისათვის მოქმედი კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები.
- 2014 წლის 1 იანვრამდე ექსპლუატაციაში შესულ რეგულირებად აქტივებთან დაკავშირებით კომისია ითვალისწინებს რეგულირებული საწარმოს მიერ გამოყენებულ ცვეთა/ამორტიზაციის ნორმებს, ხოლო ამ ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშების წესი ან კომისიის მიერ დამტკიცებული სატარიფო რეგულირებას დაქვემდებარებული საწარმოების რეგულირებადი აქტივების ცვეთა/ამორტიზაციის ნორმები.

მუხლი 9. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება

- რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა განისაზღვრება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) მეთოდით.
- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) და მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთის (r_{sd}) სიდიდე უცვლელია სატარიფო რეგულირების პერიოდის განმავლობაში.
- კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) გადასახადებამდე, ყოველი სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WACC_{\text{გადასახადებამდე}} = g \times r_d + \frac{(1 - g) \times r_e}{(1 - T)} \quad (4),$$

სადაც:

$WACC_{\text{გადასახადებამდე}}$	– კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება გადასახადებამდე (პროცენტი);
g	– სესხის წილი (პროცენტი);
r_d	– სესხის ღირებულება (პროცენტი);
r_e	– საკუთარი კაპიტალის ღირებულება (პროცენტი);
T	– მოგების გადასახადი (პროცენტი).

4. საკუთარი კაპიტალის ღირებულება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$r_e = (r_f - ds) + cr + \beta \times mp \quad (5),$$

სადაც:

r_f	– ურისკო საპროცენტო განაკვეთი (პროცენტი);
ds	– ქვეყნის დეფოლტ რისკი (პროცენტი);
cr	– ქვეყნის რისკი (პროცენტი);
mp	– ბაზრის რისკის პრემია (პროცენტი);
β	– სექტორული რისკის კოეფიციენტი.

5. კომისიის მიერ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) განსაზღვრისათვის სესხის წილი (g) მთლიან კაპიტალში გაითვალისწინება 60%-ის ოდენობით.

მუხლი 10. საოპერაციო დანახარჯები

- მეთოდოლოგიის მიზნებისათვის საოპერაციო დანახარჯები შედგება ორი ნაწილისაგან:
 - კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;
 - არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები.
- საოპერაციო დანახარჯებმა უნდა უზრუნველყოს რეგულირებული საწარმოსათვის შესაბამის რეგულირებულ საქმიანობაზე გასაწევი დანახარჯების ანაზღაურება, მათ შორის:
 - ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის დანახარჯები;
 - ადმინისტრაციული და საერთო დანახარჯები.

3. ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის დანახარჯების ამსახველი ელექტროენერჯის გადამცემის ტარიფის დადგენისას კომისია უზრუნველყოფს ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის მესაკუთრისთვის ასანაზღაურებელი მიზანშეწონილი და გონივრული დანახარჯის ოდენობის გაანგარიშებას ამ სატარიფო მეთოდოლოგიით ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად
4. საოპერაციო დანახარჯები უზრუნველყოფს მესამე მხარის დაფინანსებით შექმნილი აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯების (მათ შორის: მიმდინარე რემონტის, მოვლა-პატრონობის, ექსპლუატაციისა და სხვა დანახარჯების) ანაზღაურებას.
5. სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინება კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯეტიკის სექტორში დანახარჯების მარგულირებელი აუდიტის წესის“ შესაბამისად აუდირებული საბაზისო წლის ის საოპერაციო დანახარჯები, რომლებიც დასაბუთებული, გონივრული და სამართლიანია.
6. კომისია უფლებამოსილია სატარიფო რეგულირების პერიოდის ტარიფის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს ის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები, რომლებიც არ წარმოადგენს საბაზისო წლის მონაცემებს, თუმცა კომისიის მიერ მიიჩნევა დასაბუთებულად, გონივრულად და სამართლიანად.

მუხლი 11. კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები

1. კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებში გაითვალისწინება ყველა ის დანახარჯი, რომელზეც რეგულირებულ საწარმოს აქვს გადაწყვეტილების მიღების საშუალება და შესაბამისად, შეუძლია მათზე ზეგავლენის მოხდენა.
2. რეგულირებული საწარმოსათვის სატარიფო რეგულირების პერიოდის (t+i) სატარიფო წლის კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cOPEX_{t+i} = cOPEX_{t-1} * \prod_{j=0}^i [(1 + CPI_{t+j}) * (1 - X_{t+j})] + spOPEX_{t+i} \quad (6),$$

სადაც:

<i>i</i>	-	სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში (1≤i≤n);
<i>cOPEX_{t+i}</i>	-	კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>cOPEX_{t-1}</i>	-	კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები საბაზისო წლისთვის (ლარი);

CPI_{t+j}	- ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი ტარიფის გაანგარიშების და შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით (პროცენტი);
X_{t+j}	- ეფექტიანობის ფაქტორი ტარიფის გაანგარიშების და შესაბამისი სატარიფო წლისთვის (პროცენტი).
$spOPEX_{t+i}$	- კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს საბაზისო წლის ფაქტობრივ დანახარჯს, თუმცა კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მის ასახვას საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

- იმ შემთხვევაში, თუ ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი უარყოფითი რიცხვია, სახელფასო ფონდთან მიმართებაში იგი გათვალისწინებული იქნება ნულოვანი მაჩვენებლით ($CPI_{t+j} = 0\%$), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღემატება 5%-ს, სახელფასო ფონდთან მიმართებაში იგი გათვალისწინებული იქნება 5%-ის ოდენობით ($CPI_{t+j} = 5\%$).
- რეგულირებული საწარმოს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების ის ნაწილი, რომელიც სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის განისაზღვრება საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით ($spOPEX_{t+i}$) ან/და რომლის პროგნოზირებაც შეუძლებელია, თუმცა წარმოადგენს კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯის ამავე ($spOPEX_{t+i}$) ნაწილს, ექვემდებარება კორექტირებას, მეთოდოლოგიის IV თავში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 12. არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები

- არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებში გაითვალისწინება ყველა ის დანახარჯი, რომელიც გამოწვეულია გარეშე ფაქტორებით და რომელზეც რეგულირებულ საწარმოს გადაწყვეტილების მიღება ან ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია (გადასახადები, კომისიის რეგულირების საფასური, ბაზრის ოპერატორის ტარიფი და სხვა).
- სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული სატარიფო წლისთვის არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები განისაზღვრება საბაზისო წლის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, თუმცა კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს სატარიფო რეგულირების პერიოდის საპროგნოზო ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 13. უბალანსობის ხარჯი

1. გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის მიერ ქსელში ელექტროენერჯის დანაკარგის შევსების მიზნით ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ელექტროენერჯის შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი უბალანსობის ხარჯის გონივრული ოდენობის გაანგარიშებისას, კომისია ეყრდნობა განვლილი პერიოდის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულების სალდირებულ მონაცემებს.
2. კომისია უფლებამოსილია, სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის უბალანსობის ხარჯის გონივრული ოდენობა განსაზღვროს საპროგნოზო მონაცემებზე დაყრდნობით:

$$IC_{t+i} = E_{Loss,t+i} * kI * ((PI - P_m) * c_1 + (-PI - P_m) * c_2 + (PI + P_m) * c_3 + (-PI + P_m) * c_4) \quad (7)$$

სადაც:

i	– სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
IC_{t+i}	– უბალანსობის ხარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$E_{Loss,t+i}$	– ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
kI	– საპროგნოზო უბალანსობის კოეფიციენტი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (პროცენტი)
PI	– უბალანსობის საპროგნოზო საშუალო შეწონილი ფასი საბალანსო ელექტროენერჯის ბაზარზე შესაბამისი სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის (თეთრი/კვტ.სთ);
P_m	– ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ელექტროენერჯის შესასყიდი საპროგნოზო საშუალო შეწონილი ფასი შესაბამისი სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის (თ/კვტ.სთ);
c_1	– ალბათობა იმისა, რომ რეგულირებული საწარმო იმყოფება დადებით და დამამძიმებელ უბალანსობაში (პროცენტი);
c_2	– ალბათობა იმისა, რომ რეგულირებული საწარმო იმყოფება დადებით და შემამსუბუქებელ უბალანსობაში (პროცენტი);
c_3	– ალბათობა იმისა, რომ რეგულირებული საწარმო იმყოფება უარყოფით და დამამძიმებელ უბალანსობაში (პროცენტი);
c_4	– ალბათობა იმისა, რომ რეგულირებული საწარმო იმყოფება უარყოფით და შემამსუბუქებელ უბალანსობაში (პროცენტი).

მუხლი 14. საბალანსო პროდუქტების შესყიდვასა და დამახმარე მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯები

ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი (t+i) სატარიფო წლისთვის კომისია განსაზღვრავს და ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში ასახავს საბალანსო პროდუქტების შესყიდვასა და დამახმარე მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებულ საპროგნოზო დანახარჯების გონივრულ ოდენობას.

მუხლი 15. საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო დანახარჯები

1. კომისია შესაბამისი (t+i) სატარიფო წლისთვის განსაზღვრავს რეგულირებული საწარმოს საბრუნავი კაპიტალის ოდენობას, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WC_{t+i} = \frac{(ARD - APD_{Opex(t-1)})}{365} * OPP_{t+i} + \frac{(ARD - APD_{VAT(t-1)})}{365} * nVAT_{t+i} \quad (8)$$

სადაც:

<i>I</i>	- სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
WC_{t+i}	- საბრუნავი კაპიტალის ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>ARD</i>	- დებიტორული დავალიანების დაფარვის დღე, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა (დღე);
$APD_{Opex(t-1)}$	- საბაზისო წელს კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე საოპერაციო დანახარჯებთან მიმართებაში, მაგრამ არაუადრეს საანგარიშო თვის 10 რიცხვისა (დღე);
$APD_{VAT(t-1)}$	- საბაზისო წელს კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღე დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში – საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუადრეს 15 რიცხვისა (დღე);
OPP_{t+i}	- საოპერაციო დანახარჯები შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელთა მიმართ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს გააჩნია დადებითი სხვაობა დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დაფარვის დღეებს შორის (ლარი);

$nVAT_{t+i}$	- სხვაობა დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხულ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხასა და ჩასათვლელ დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებს შორის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
--------------	--

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გაანგარიშებული საბრუნავი კაპიტალის (WC) რომელიმე კომპონენტი (შესაკრები) უარყოფითი რიცხვია, მაშინ საბრუნავი კაპიტალის (WC) გაანგარიშებაში აღნიშნული შესაკრები გაუტოლდება ნულს.
3. კომისია რეგულირებული საწარმოს შესაბამისი (t+i) სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში ასახავს საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯს (WCC), რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$WCC_{t+i} = WC_{t+i} * r_{sd(t+i)} \quad (9),$$

სადაც:

i	- სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
WCC_{t+i}	- საბრუნავი კაპიტალის დაფინანსების საპროცენტო ხარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
WC_{t+i}	- საბრუნავი კაპიტალის ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$r_{sd(t+i)}$	- კომისიის მიერ დადგენილი მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისი სატარიფო წლისთვის (პროცენტი).

მუხლი 16. ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგის შესყიდვის დანახარჯი

1. ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგი გაიანგარიშება და განისაზღვრება კომისიის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯის ფაქტობრივი დანაკარგი აღემატება შესაბამისი რეგულირებული საწარმოსათვის დადგენილ ელექტროენერჯის ნორმატიულ დანაკარგს, სხვაობით მიღებული ზენორმატიული დანაკარგის ღირებულება არ ექვემდებარება სატარიფო

განგარიშებაში ასახვას და შესაბამისად იგი არ აუნაზღაურდება რეგულირებულ საწარმოს.

3. იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო რეგულირების პერიოდში ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერჯის ფაქტობრივი დანაკარგის ოდენობა ნაკლებია შესაბამისი ქსელისათვის დადგენილი ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგის ოდენობაზე, მათ შორის სხვაობით მიღებული ნორმატიული დანაკარგების შესყიდვის ხარჯი არ ექვემდებარება კორექტირებას და რჩება საწარმოს განკარგულებაში.
4. ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში არსებული ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგის შესყიდვის დანახარჯი (t+i) წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CNL_{t+i} = P_{(t+i)} * E_{Loss (t+i)} (10),$$


სადაც:

i	- სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
CNL_{t+i}	- ელექტროენერჯის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში არსებული ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების შესყიდვის დანახარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
$P_{(t+i)}$	- შესაბამისი სატარიფო წლისთვის ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების შესავსებად შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი (ლარი/კვტსთ);
$E_{Loss(t+i)}$	- ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ).

5. ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ოდენობა სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის განისაზღვრება მეთოდოლოგიის მე-19 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული გადაცემული და განაწილებული ელექტროენერჯის საპროგნოზო ოდენობის გათვალისწინებით.
6. შესაბამისი სატარიფო წლისთვის ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების შესავსებად შესასყიდი ელექტროენერჯის ფასის საპროგნოზო მაჩვენებლის განსაზღვრისას კომისია იხელმძღვანელებს ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე მოსალოდნელი ელექტროენერჯის ფასებით.

მუხლი 17. დანახარჯების გამოიჯენა და კასკადირება

1. რამდენიმე რეგულირებად ან/და სხვა სამეწარმეო საქმიანობებს შორის საერთო დანახარჯების გამოიჯენა განხორციელდება კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესით“ განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად, რაც წარმოადგენს დანახარჯების მიკუთვნების პირველ ეტაპს.
2. ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობის ფარგლებში ძაბვის საფეხურებისთვის საერთო დანახარჯების კონკრეტულ ძაბვის საფეხურზე მიკუთვნება განხორციელდება დანახარჯების კასკადირების მეთოდის გამოყენებით, რაც წარმოადგენს დანახარჯების მიკუთვნების მეორე ეტაპს. დანახარჯების კასკადირების მეთოდით რეგულირებული საწარმოს დანახარჯების გადანაწილება ხორციელდება შემდეგი სქემის შესაბამისად:



სადაც:

G_1	-	ძაბვის მაღალ საფეხურზე მიღებული ელექტროენერჯის ოდენობა;
G_2	-	ძაბვის საშუალო საფეხურზე მიღებული ელექტროენერჯის ოდენობა;
G_3	-	ძაბვის დაბალ საფეხურზე მიღებული ელექტროენერჯის ოდენობა;
L_1	-	ელექტროენერჯის დანაკარგები ძაბვის მაღალ საფეხურზე;
L_2	-	ელექტროენერჯის დანაკარგები ძაბვის საშუალო საფეხურზე;
L_3	-	ელექტროენერჯის დანაკარგები ძაბვის დაბალ საფეხურზე;
C_{11}	-	ძაბვის მაღალი საფეხურიდან ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ელექტროენერჯის ოდენობა (;
C_{12}	-	ძაბვის მაღალი საფეხურიდან საშუალო საფეხურზე გადადინებული ელექტროენერჯის ოდენობა;
$C_1 = C_{11} + C_{12}$	-	ძაბვის მაღალი საფეხურიდან გაცემული მთლიანი ელექტროენერჯის ოდენობა ($G_1 - L_1$);
C_{22}	-	ძაბვის საშუალო საფეხურიდან ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ელექტროენერჯის ოდენობა;

C_{23}	-	ძაბვის საშუალო საფეხურიდან დაბალ საფეხურზე გადადინებული ელექტროენერჯის ოდენობა;
$C_2 = C_{22} + C_{23}$	-	ძაბვის საშუალო საფეხურიდან გაცემული მთლიანი ელექტროენერჯის ოდენობა ($G_2 + C_{12} - L_2$);
C_{33}	-	ძაბვის დაბალ საფეხურზე ამავე საფეხურის მომხმარებლებზე გაცემული ელექტროენერჯის ოდენობა ;
$S_{11} = C_{11}/ C_1$	-	ძაბვის მაღალი საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის წილი ამავე საფეხურიდან გაცემულ მთლიან ელექტროენერჯის ოდენობაში;
$S_{22} = C_{22}/ C_2$	-	ძაბვის საშუალო საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის წილი ამავე საფეხურიდან გაცემულ მთლიან ელექტროენერჯის ოდენობაში;
$S_{33} = C_{33}/ C_3$	-	ძაბვის დაბალი საფეხურის მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის წილი ამ საფეხურიდან გაცემულ მთლიან ელექტროენერჯის ოდენობაში.

3. ხარჯების ძაბვის საფეხურის მიხედვით მიკუთვნების (ალოკაციის) პრინციპი ეყრდნობა ძაბვის ცალკეულ საფეხურზე ელექტროენერჯის მოხმარებებს.
4. პირველი საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელი დანაკარგების ღირებულების და სხვა დანახარჯების წილი შედგება ერთი კომპონენტისაგან, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_1 = S_{11} \times Cost_1 \quad (11)$$

5. მეორე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელი დანაკარგების ღირებულების და სხვა დანახარჯების წილი შედგება ორი კომპონენტისაგან, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_2 = S_{22} \times Cost_2 + S_{22} \times ((1 - S_{11}) \times Cost_1) \quad (12)$$

6. მესამე საფეხურის მომხმარებლებისთვის მისაკუთვნებელი დანაკარგების ღირებულების და სხვა დანახარჯების წილი შედგება სამი კომპონენტისაგან, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$S_3 = S_{33} \times Cost_3 + S_{33} \times ((1 - S_{22}) \times Cost_2) + S_{33} \times ((1 - S_{22}) \times (1 - S_{11}) \times Cost_1) \quad (13)$$

თავი III. ტარიფის გაანგარიშება

მუხლი 18. ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფი

ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{BMO} = \frac{\sum_{i=1}^n RCB_{t+i}}{\sum_{i=1}^n nD_{t+i}} \quad (14),$$

სადაც:

i	–	სატარიფო წლის რიგითი ნომერი რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
T_{BMO}	–	ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის გაწეული მომსახურების ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (ლარი/დღე);
RCB_{t+i}	–	ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზა სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
nD_{t+i}	–	დღეების ოდენობა სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (დღე).

მუხლი 19. ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფი

1. ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის გადაცემის საქმიანობაზე დგინდება ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფი.
2. ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{Trans} = \frac{\sum_{i=1}^n RCB_{t+i}}{\sum_{i=1}^n E_{t+i}} \quad (15),$$

სადაც:

i	–	სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
T_{Trans}	–	გადაცემის ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის (თეთრი/კვტ.სთ);

RCB_{t+i}	– ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორის რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
E_{t+i}	– მიწოდებლების, მსხვილი მომხმარებლების, მწარმოებლებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების მიერ საბითუმო მიწოდების პუნქტებში მოხმარებული (აღრიცხული) და ექსპორტირებული ელექტროენერჯია შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტსთ)

მუხლი 20. ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი

- ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის განაწილების საქმიანობაზე დგინდება ელექტროენერჯის განაწილების ტარიფები ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის ძაბვის შემდეგი საფეხურების მიხედვით:
 - 0,4 კილოვოლტ ძაბვაზე;
 - 3,3-6-10 კილოვოლტ ძაბვაზე;
 - 35-110 კილოვოლტ ძაბვაზე.
- ელექტროენერჯის განაწილების ტარიფები სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ძაბვის თითოეულ საფეხურზე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$T_{Dist}^k = \frac{\sum_{i=1}^n RCB_{t+i}^k}{\sum_{i=1}^n E_{t+i}^k} \quad (16),$$

სადაც:

i	– სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
T_{Dist}^k	– ძაბვის k-ური საფეხურის ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი სატარიფო რეგულირების პერიოდისათვის (თეთრი/კვტ.სთ);
RCB_{t+i}^k	– ელექტროენერჯის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ძაბვის k-ური საფეხურის მომხმარებლისათვის მიკუთვნებული რეგულირებადი დანახარჯების ბაზის ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);

E_{t+i}^k	-	მაბვის k-ურ საფეხურზე ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელით განაწილებული ელექტროენერჯის საპროგნოზო ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
k	-	ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის მაბვის შესაბამისი საფეხური.

მუხლი 21. ელექტროენერჯის ოდენობა

ტარიფების გაანგარიშებისას კომისია ხელმძღვანელობს ელექტროენერჯის სექტორში ელექტროენერჯის მოხმარების ფაქტობრივი დინამიკის გათვალისწინებით განსაზღვრული საპროგნოზო ელექტროენერჯის ოდენობებით.

თავი IV. ტარიფის კორექტირება

მუხლი 22. ტარიფის კორექტირების პრინციპები

1. მეთოდოლოგია ტარიფის გაანგარიშებისას ითვალისწინებს რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში საპროგნოზო მაჩვენებლების ასახვას. შესაბამისად, კომისია სატარიფო რეგულირების პერიოდის თითოეული სატარიფო წლისთვის ტარიფების კორექტირებას განახორციელებს დანახარჯების კორექტირების მაჩვენებლით.
2. ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების კორექტირება ხორციელდება კორექტირებას დაქვემდებარებული კომპონენტების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობის გათვალისწინებით.

მუხლი 23. ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფების კორექტირება

1. თითოეული სატარიფო რეგულირების პერიოდის ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის ტარიფები ექვემდებარება შემდეგი კომპონენტებით კორექტირებას:
 - ა) კაპიტალური დანახარჯები;
 - ბ) კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების საპროგნოზო ნაწილი, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ საოპერაციო დანახარჯებს (spOPEX);
 - გ) არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯები;

დ) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, ელექტროენერჯის ოდენობა;

ე) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგის შესყიდვის დანახარჯები;

ვ) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებისთვის, უბალანსობის ხარჯი;

ზ) გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის, ელექტროენერჯის საბალანსო პროდუქტების შესყიდვასა და დამხმარე მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯები.

2. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი შესაბამისი (t+i) სატარიფო წლისთვის დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$TVCORR_{t+i} = CORR_{t+i} * \prod_{j=0}^n (1 + r_d (t-(n+1)+i+j)) \quad (17),$$

სადაც:

<i>i</i>	– სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
<i>TVCORR_{t+i}</i>	– დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი დროში ფულის ღირებულების გათვალისწინებით შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>CORR_{t+i}</i>	– კორექტირებას დაქვემდებარებული (t-(n+1)+i) სატარიფო წლის კორექტირება, რომელიც აისახება (t+i) სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში (ლარი);
<i>Id (t-(n+1)+i+j)</i>	– დროში ფულის ღირებულების განაკვეთი, რომელიც შესაბამისი სატარიფო წლისთვის კომისიის მიერ განსაზღვრული სესხის ღირებულების ტოლია (პროცენტი).

3. დანახარჯების კორექტირების მაჩვენებელი შესაბამისი სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$CORR_{t+i} = cCAPEX_{t-(n+1)+i} + corrOPEX_{t-(n+1)+i} + cCNL_{t-(n+1)+i} + cIC_{t-(n+1)+i} - cREV_{t-(n+1)+i} \quad (18),$$

სადაც:

<i>i</i>	– სატარიფო წლის რიგითი ნომერი სატარიფო რეგულირების პერიოდში ($1 \leq i \leq n$);
----------	--

$CORR_{t+i}$	– კორექტირებას დაქვემდებარებული $(t-(n+1)+i)$ სატარიფო წლის კორექტირება, რომელიც ასახეობს $(t+i)$ სატარიფო წლის რეგულირებადი დანახარჯების ბაზაში (ლარი);
$cCAPEX_{t-(n+1)+i}$	– შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული $(t-(n+1)+i)$ სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ კაპიტალურ დანახარჯებს შორის სხვაობით (ლარი);
$corrOPEX_{t-(n+1)+i}$	– შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული $(t-(n+1)+i)$ სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ არაკონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებს შორის სხვაობით, კორექტირებას დაქვემდებარებულ ფაქტობრივ და დაგეგმილ კონტროლირებად საოპერაციო დანახარჯებს შორის სხვაობით და ასევე ფაქტობრივ და დაგეგმილ ინფლაციის მაჩვენებლებს შორის სხვაობით (ლარი);
$cIC_{t-(n+1)+i}$	– შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული $(t-(n+1)+i)$ სატარიფო წლის ფაქტობრივ და დაგეგმილ უბალანსობის ხარჯებს შორის სხვაობით (ლარი);
$cRev_{t-(n+1)+i}$	– შემოსავლის კორექტირება, რომელიც გამოწვეულია კორექტირებას დაქვემდებარებული $(t-(n+1)+i)$ სატარიფო წლის ელექტროენერჯის ფაქტობრივ და დაგეგმილ ოდენობებს შორის სხვაობით (ლარი);
$cCNL_{t-(n+1)+i}$	– შემოსავლის კორექტირება, რომელიც იანგარიშება მეთოდოლოგიის 27-ე მუხლის შესაბამისად (ლარი).

- კომისია მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ელექტროენერჯის გადაცემის ტარიფში ასახავს საბალანსო პროდუქტების შესყიდვასა და დამხმარე მომსახურებების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯების დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული სხვაობით გამოწვეულ კორექტირებას, რომელიც იანგარიშება ამ თავში ასახული პრინციპების შესაბამისად.
- კომისია მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამის ტარიფში ასახავს დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ფარგლებში წარმოდგენილი რეგულირებული საწარმოს ტარიფის გაანგარიშების წლის გასული თვეების ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების ღირებულების, განაწილებული ელექტროენერჯის ფაქტობრივი ოდენობით მიღებული შემოსავლებისა და უბალანსობის ხარჯის კორექტირების მაჩვენებლებს, რომლებიც გაიანგარიშება ამ თავში ასახული პრინციპების შესაბამისად.

6. კომისია უფლებამოსილია რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა შეამციროს კომისიის მიერ 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგეტიკის სექტორში დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესის“ V და VI თავებით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 24. კაპიტალური დანახარჯების კორექტირება

1. თუ რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულება ან/და წლიური ცვეთა/ამორტიზაცია კონკრეტული სატარიფო წლისათვის განსხვავდება ამავე წლისთვის დაგეგმილი მაჩვენებლებისაგან, ტარიფის კორექტირება ხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მეთოდოლოგიის მე-7 მუხლში ასახული პრინციპების გათვალისწინებით.
2. რეგულირებული საწარმოს კაპიტალური დანახარჯების კორექტირება შესაბამისი წლისათვის იანგარიშება შემდეგი ფორმულებით:

$$cCAPEX = cRet + cD \text{ (19),}$$

სადაც:

<i>cCAPEX</i>	– კაპიტალური დანახარჯების კორექტირება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>cRet</i>	– ამონაგების კორექტირება შესაბამისი სატარიფო წლისათვის (ლარი);
<i>cD</i>	– ცვეთის კორექტირება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი).

$$cRet = (aRAB - pRAB) \times WACC \text{ (20),}$$

სადაც:

<i>cRet</i>	– ამონაგების კორექტირებული ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>aRAB</i>	– რეგულირებადი აქტივების ბაზის ფაქტობრივი ღირებულება შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>pRAB</i>	– რეგულირებადი აქტივების ბაზის დაგეგმილი ღირებულება სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>WACC</i>	– კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, რომელიც მოქმედებს შესაბამისი სატარიფო წლისთვის (პროცენტი).

$$cD = (aD - pD) \text{ (21),}$$

სადაც:

<i>cD</i>	-	კორექტირებული წლიური ცვეთა/ამორტიზაციის დანახარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>aD</i>	-	ფაქტობრივი წლიური ცვეთა/ამორტიზაციის დანახარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>pD</i>	-	დაგეგმილი წლიური ცვეთა/ამორტიზაციის დანახარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი).

3. კომისია უფლებამოსილია, სატარიფო წელს ფაქტობრივად განხორციელებული სამშენებლო, სარემონტო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების ღირებულების დადგენის მიზნით, რეგულირებულ საწარმოს მოსახოვოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა ყველა საინვესტიციო პროექტისთვის ან შესაბამისი შერჩევის გზით განსაზღვრული კონკრეტული საინვესტიციო პროექტებისთვის.
4. კონკრეტული სატარიფო წლის იმ საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში, რომელთა ექსპერტიზის მიერ დადასტურებული ღირებულება ნაკლებია საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ რეგულირებული საწარმოს მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახული ამავე პროექტების ღირებულებაზე, კომისია გაიანგარიშებს ზემოაღნიშნული საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზის მიერ დადასტურებულ ღირებულებასა და საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულ ღირებულებებს შორის სხვაობის პროცენტულ ოდენობას შესაბამისი სატარიფო წლის საექსპერტო დასკვნების წარმოდგენის მიზნით კომისიის მიერ შერჩეულ საინვესტიციო პროექტების საინვესტიციო გეგმის ფაქტობრივი განხორციელების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულ ჯამურ ღირებულებასთან მიმართებაში.
5. კომისია, კონკრეტული სატარიფო წლის იმ სამშენებლო, სარეაბილიტაციო ან სარეკონსტრუქციო ტიპის საინვესტიციო პროექტების ღირებულებებს, რომელთა დადასტურებაც არ მომხდარა შესაბამისი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე, შეამცირებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაანგარიშებული პროცენტული ოდენობით.

მუხლი 25. საოპერაციო დანახარჯების კორექტირება

თუ კონკრეტულ წელს რეგულირებული საწარმოს მიერ ფაქტობრივად გაწეული საოპერაციო დანახარჯები განსხვავდება ამავე წლისთვის დაგეგმილი საოპერაციო დანახარჯების ოდენობისაგან, მაშინ აღნიშნული წლის საოპერაციო დანახარჯები ექვემდებარება კორექტირებას, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{corrOPEX} = (a \text{ ncOPEX} - p \text{ ncOPEX}) + (a \text{ spOPEX} - p \text{ spOPEX}) + c\text{INFL} \quad (22),$$

სადაც:

<i>corrOPEX</i>	- საოპერაციო დანახარჯების საკორექტირებელი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>a ncOPEX</i>	- არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების ფაქტობრივი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>p ncOPEX</i>	- არაკონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების დაგეგმილი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>a spOPEX</i>	- სპეციალური საოპერაციო დანახარჯების ფაქტობრივი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>p spOPEX</i>	- სპეციალური საოპერაციო დანახარჯების დაგეგმილი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>cINFL</i>	- კონტროლირებადი საოპერაციო დანახარჯების კორექტირებული ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც გამოწვეულია ინფლაციის ფაქტობრივ და დაპროგნოზებულ მაჩვენებლებს შორის სხვაობით (ლარი).

მუხლი 26. ელექტროენერჯის ოდენობით მიღებული შემოსავლის კორექტირება

1. თუ კონკრეტული სატარიფო წლისთვის რეგულირებული საწარმოს მიერ ფაქტობრივად გადაცემული და განაწილებული ელექტროენერჯის ოდენობა განსხვავდება დაგეგმილი ოდენობისაგან, მაშინ აღნიშნული წლის შემოსავლების საკორექტირებელი ოდენობა იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$c\text{REV} = (aE - pE) \times T \quad (23),$$

სადაც:

<i>cREV</i>	- შემოსავლების საკორექტირებელი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>aE</i>	- ელექტროენერჯის ფაქტობრივი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
<i>pE</i>	- ელექტროენერჯის დაგეგმილი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
<i>T</i>	- ტარიფი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (თეთრი/კვტ.სთ).

- კომისია არ გამოიყენებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კორექტირების მექანიზმს იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯის ფაქტობრივი ოდენობის დანაკლისი დაპროგნოზებულთან მიმართებაში გამოწვეულია რეგულირებული საწარმოს მიზეზით.

მუხლი 27. ნორმატიული დანაკარგების შესყიდვის დანახარჯის კორექტირება

- თუ კონკრეტული სატარიფო წლისთვის რეგულირებული საწარმოს მიერ ფაქტობრივად გადაცემული და განაწილებული ელექტროენერჯის ფაქტობრივი ოდენობა განსხვავდება დაგეგმილი ოდენობისაგან ან/და ელექტროენერჯის შესასყიდი ფასის ფაქტობრივი მაჩვენებელი განსხვავდება საპროგნოზო მაჩვენებლისგან, კომისია უზრუნველყოფს რეგულირებული საწარმოსთვის ფაქტობრივად გადაცემულ და განაწილებულ ელექტროენერჯიაზე დანაკარგების განსაზღვრას დადგენილი ნორმატიული მაჩვენებლით და ახდენს ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების შესყიდვის დანახარჯის კორექტირებას, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$cCNL = (aE_{\text{დანაკ}} \times aP - pE_{\text{დანაკ}} \times pP) \text{ (24)},$$

სადაც:

<i>cCNL</i>	- ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების საკორექტირებელი დანახარჯი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>aE_{დანაკ}</i>	- ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების საკორექტირებელი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის, რომელიც იანგარიშება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (კვტ.სთ);

$pE_{\text{დანაკ}}$	-	ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების დაგეგმილი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტ.სთ);
aP	-	ელექტროენერჯის შესასყიდი ფაქტობრივი ფასი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (თეთრი/კვტ.სთ);
pP	-	ელექტროენერჯის შესასყიდი დაგეგმილი ფასი შესაბამისი სატარიფო წლისთვის (თეთრი/კვტ.სთ).

2. ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების საკორექტირებელი ოდენობა კონკრეტული სატარიფო წლისთვის იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$aE_{\text{დანაკ}} = aE / (1-L) - aE \quad (25),$$

სადაც:

$aE_{\text{დანაკ}}$	-	ელექტროენერჯის ნორმატიული დანაკარგების საკორექტირებელი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტსთ);
aE	-	ელექტროენერჯის ფაქტობრივი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (კვტსთ);
L	-	კომისიის მიერ შესაბამისი სატარიფო წლისთვის დადგენილი ნორმატიული დანაკარგების ოდენობა (პროცენტი).

მუხლი 28. უბალანსობის ხარჯის კორექტირება

თუ კონკრეტულ წელს რეგულირებული საწარმოს მიერ ქსელში ელექტროენერჯის დანაკარგის შევსების მიზნით ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ელექტროენერჯის შესყიდვისას წარმოქმნილი უბალანსობის ხარჯის ფაქტობრივი ოდენობა განსხვავდება ამავე წლისთვის დაგეგმილი უბალანსობის ხარჯის ოდენობისაგან, მაშინ აღნიშნული წლის უბალანსობის ხარჯი ექვემდებარება კორექტირებას, რომელიც იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{corrIC} = a \text{ IC} - p \text{ IC} \quad (26),$$

სადაც:

<i>corrIC</i>	- უბალანსობის ხარჯის საკორექტირებელი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>a IC</i>	- უბალანსობის ხარჯის ფაქტობრივი ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);
<i>p IC</i>	- უბალანსობის ხარჯის საპროგნოზო ოდენობა შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი);

მუხლი 29. ტარიფის კორექტირება სატარიფო რეგულირების პერიოდის განმავლობაში

1. იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის მიმდინარეობისას, გადაცემული ან/და განაწილებული ელექტროენერჯის ოდენობით მიღებული შემოსავლის, ნორმატიული დანაკარგების შესყიდვის დანახარჯისა და უბალანსობის ხარჯის კორექტირების კომპონენტების ჯამის აბსოლუტური მაჩვენებელი აჭარბებს ამავე სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზის საშუალო წლიური ოდენობის 7%-ს, რეგულირებულ საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადს წარმოდგენის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია განახორციელოს ზემოაღნიშნული კორექტირების კომპონენტებით სატარიფო რეგულირების პერიოდზე რეგულირებული საწარმოსათვის დადგენილი ტარიფების კორექტირება აღნიშნული გარემოების დადგომის მომდევნო სატარიფო წლის დასაწყისიდან ამ თავში ასახული პრინციპების შესაბამისად.
2. იმ შემთხვევაში, თუ სატარიფო რეგულირების პერიოდის მიმდინარეობისას, კომისიის მიერ შეთანხმებულ რეგულირებული საწარმოს საინვესტიციო გეგმაში შეტანილი ცვლილებებით გამოწვეული კაპიტალური დანახარჯების კორექტირების მოცულობა აჭარბებს ამავე სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის განსაზღვრული რეგულირებადი დანახარჯების ბაზის საშუალო წლიური ოდენობის 10%-ს, კომისია უფლებამოსილია, განახორციელოს კაპიტალური დანახარჯების კორექტირების კომპონენტით სატარიფო რეგულირების პერიოდზე რეგულირებული საწარმოსათვის დადგენილი ტარიფების კორექტირება აღნიშნული გარემოების დადგომის მომდევნო სატარიფო წლის დასაწყისიდან ამ თავში ასახული პრინციპების შესაბამისად.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საწარმოს ტარიფის კორექტირების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია, სატარიფო რეგულირების პერიოდის დარჩენილ სატარიფო წლებზე განახლოს რეგულირებული საწარმოს მიერ გადასაცემი ან გასანაწილებელი ელექტროენერჯის ოდენობის პროგნოზი მეთოდოლოგიის 21-ე მუხლში ასახული პრინციპების შესაბამისად.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე რეგულირებული საწარმოს ტარიფის კორექტირების შემთხვევაში კომისია გაითვალისწინებს გასული სატარიფო რეგულირების პერიოდის ბოლო სატარიფო წლის იმავე კორექტირების კომპონენტებსაც.

5. კომისია უფლებამოსილია, გააკორექტიროს რეგულირებული საწარმოს ტარიფი ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული კორექტირების კომპონენტების უფრო ნაკლები პროცენტული გადახრის შემთხვევაშიც.
6. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, რეგულირებულმა საწარმომ სატარიფო განაცხადი უნდა წარმოადგინოს შესაბამისი წლის არაუადრეს 4 ივლისისა და არაუგვიანეს 1 ნოემბრისა.
7. რეგულირებულ საწარმოთა შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია უფლებამონაცვლე რეგულირებულ საწარმოს დაუდგინოს ტარიფი მეთოდოლოგიით განსაზღვრული პრინციპების მიხედვით შესაბამისი სატარიფო წლის განმავლობაში და ტარიფის მოქმედების ვადა განსაზღვროს მიმდინარე სატარიფო რეგულირების პერიოდის ან მომდევნო სატარიფო რეგულირების პერიოდის ბოლომდე.
8. იმ რეგულირებულ საწარმოთა შერწყმის (გაერთიანება, მიერთება) შემთხვევაში, რომელთაც მეთოდოლოგიის საფუძველზე დადგენილი აქვთ ტარიფები შესაბამის სატარიფო რეგულირების პერიოდზე, კომისია უფლებამონაცვლე რეგულირებულ საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზა განსაზღვროს შერწყმამდე (გაერთიანება, მიერთება) არსებული რეგულირებული საწარმოების რეგულირებადი დანახარჯების ბაზების გაერთიანების (კონსოლიდაციის) შედეგად.
9. ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, სატარიფო განაცხადის წარმოდგენისას, რეგულირებულ საწარმოზე არ ვრცელდება მეთოდოლოგიის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა.

თავი V. ტარიფის დადგენისა და სატარიფო განაცხადის წარდგენის პროცედურები

მუხლი 30. ტარიფის დასადგენად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ტარიფის დადგენის მიზნით რეგულირებული საწარმო ვალდებულია ტარიფის გაანგარიშების წელს, მეთოდოლოგიის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში კომისიას წარუდგინოს სატარიფო განაცხადი.
2. სატარიფო განაცხადის ფორმებსა და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალს ამტკიცებს კომისია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. სატარიფო განაცხადთან ერთად რეგულირებულმა საწარმომ კომისიას ასევე უნდა წარმოუდგინოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შედგენილი და აუდირებული ფინანსური ანგარიშგება.
4. იმ შემთხვევაში, თუ რეგულირებული საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადი წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საბაზისო წლის წლიური ანგარიშის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე და მეთოდოლოგიის ფარგლებში რეგულირებულ საწარმოს პირველად უდგინდება ტარიფი, კომისია ტარიფის გაანგარიშებისას დაეყრდნობა უახლოესი პერიოდის აუდირებულ მონაცემებს.

5. კომისია უფლებამოსილია, რეგულირებულ საწარმოს მოსთხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაციის ან/და სხვადასხვა სახის დასკვნის წარმოდგენა, რომელსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს.
6. სატარიფო განაცხადისა და მასზე თანდართული მასალების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება სატარიფო განაცხადის წარმომდგენს.

მუხლი 31. ტარიფის დადგენის ვადები და პროცედურები

1. რეგულირებული საწარმო ვალდებულია სატარიფო განაცხადი კომისიას წარუდგინოს არაუგვიანეს ტარიფის გაანგარიშების წლის 4 ივლისისა. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ სატარიფო განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღეს.
2. კომისია სატარიფო განაცხადის დამტკიცებულ ფორმასთან შესაბამისობას და მის სისრულეს განიხილავს სატარიფო განაცხადის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
3. თუ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი არ შეესაბამება კომისიის მიერ დამტკიცებულ ფორმებს ან წარმოდგენილია არასრულყოფილად, კომისია განმცხადებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად წერილობით განუსაზღვრავს ვადას არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა. ეს ვადა განმცხადებლის მოთხოვნით შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადით.
4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში რეგულირებული საწარმო კომისიაში არ წარმოდგენს მოთხოვნილ ინფორმაციას, კომისიის გადაწყვეტილებით სატარიფო განაცხადი რჩება განუხილველად.
5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და თავისი ინიციატივით გადახედოს რეგულირებული საწარმოს ტარიფებს. ამ შემთხვევაში საწარმოს მიერ საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.
6. სრულყოფილად წარმოდგენილი სატარიფო განაცხადის მიღების ან ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომისიის გადაწყვეტილებით იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და შესაბამისი ცნობა ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.
7. სატარიფო განაცხადის განხილვა კომისიაში მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
8. სატარიფო განაცხადის განხილვისას, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კომისია უფლებამოსილია, მოაწყოს შეხვედრები ან/და საჯარო სხდომები აღნიშნულ სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით.

თავი VI. გარდამავალი დებულებები

მუხლი 32. გარდამავალი დებულებები

- 2018-2020 სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განაკვეთი (WACC) შეადგენს 16.40%-ს, რომლის კომპონენტების სიდიდეები განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) – 12.22%;
 - ბ) სესხის ღირებულება (r_d) – 12.93%;
 - გ) ბაზრის რისკის პრემია (mp) – 6.17%;
 - დ) ქვეყნის დეფოლტ რისკი (ds) – 4.16%;
 - ე) ქვეყნის რისკი (cr) – 5.12%;
 - ვ) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) – 0.84.
- 2021-2025 სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების განაკვეთი (WACC) შეადგენს 15.39%-ს, რომლის კომპონენტების და მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთის (r_{sd}) სიდიდეები განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - ა) ურისკო საპროცენტო განაკვეთი (r_{rf}) – 10.24%;
 - ბ) სესხის ღირებულება (r_d) – 13.19%;
 - გ) ბაზრის რისკის პრემია (mp) – 5.55%;
 - დ) ქვეყნის დეფოლტ რისკი (ds) – 3.53%;
 - ე) ქვეყნის რისკი (cr) – 4.41%;
 - ვ) სექტორული რისკის კოეფიციენტი (β) – 0.86;
 - ზ) მოკლევადიანი სესხის საპროცენტო განაკვეთი (r_{sd}) – 12.13%.
- 2018 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი ტარიფების კორექტირების მიზნებისთვის დროში ფულის ღირებულების განაკვეთი აღნიშნულ თარიღამდე პერიოდზე, კომისიის მიერ ამავე პერიოდისთვის დადგენილი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (13.54%) ტოლია.
- 2018-2020 სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის საქმიანობებისათვის ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ზოგ}$) უდრის 1.5%-ს, ხოლო ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ინდ}$) – 0-ს.
- 2021-2025 სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ელექტროენერჯის გადაცემის, განაწილებისა და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის საქმიანობებისათვის ზოგადი ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ზოგ}$) უდრის 1.5%-ს, ხოლო ინდივიდუალური ეფექტიანობის ფაქტორი ($X_{ინდ}$) – 0%-ს.
- 2021-2025 წლების სატარიფო რეგულირების პერიოდის 2021-2023 სატარიფო წლებისთვის, რეგულირებული საწარმოს რეგულირებადი აქტივების ბაზაში აისახება რეგულირებული საწარმოს მიერ დაგეგმილი ინვესტიციები კომისიის მიერ შეთანხმებული საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, ხოლო 2024-2025 სატარიფო წლებისთვის – რეგულირებული საწარმოს მიერ დაგეგმილი ინვესტიციები, კომისიის

მიერ შეთანხმებული გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად.

7. 2021-2025 წლების სატარიფო რეგულირების პერიოდის 2024-2025 სატარიფო წლებისთვის, მეთოდოლოგიის მე-7 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად რეგულირებადი აქტივების ბაზის ღირებულების გაანგარიშებისას, $pINV_{t+j}$ კომპონენტი განისაზღვრება, როგორც კომისიასთან შეთანხმებული გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული (დაგეგმილი) აქტივების ღირებულება სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის (ლარი).
8. 2021-2025 წლების სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ტარიფების დადგენისას, 2017-2020 სატარიფო წლების განმავლობაში დაგროვილი, კორექტირებას დაქვემდებარებული კომპონენტების მეთოდოლოგიის IV თავით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად გაანგარიშებული კორექტირება სრულად აისახება 2021-2023 სატარიფო წლებისთვის დადგენილ ტარიფებში და, შესაბამისად, არ გაითვალისწინება 2024-2025 სატარიფო წლებისთვის დადგენილი ტარიფების გაანგარიშებისას.
9. 2021-2025 წლების სატარიფო რეგულირების პერიოდისთვის ტარიფის გაანგარიშებისას, მეთოდოლოგიის IV თავის მიზნებისთვის $n=3$.
10. 2021-2025 წლების სატარიფო რეგულირების პერიოდის მე-3 სატარიფო წელს რეგულირებული საწარმოს მომართვის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განახორციელოს სახელფასო დანახარჯის შესწავლა და 2024-2025 სატარიფო წლებისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისი კორექტირება.
11. რეგულირებული საწარმოს მიერ სატარიფო განაცხადის 2025 წლამდე წარმოდგენის შემთხვევაში არ ვრცელდება მეთოდოლოგიის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა.
12. 2021-2023 სატარიფო წლებისათვის საპროგნოზო უბალანსობის კოეფიციენტი განისაზღვრება 10%-ის ოდენობით.
13. საქმიანობების განცალკევებისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედების გათვალისწინებით, კომისია განახორციელებს იმ საოპერაციო დანახარჯების კორექტირებას, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული შესაბამის რეგულირებად საქმიანობასთან.
14. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე რეგულირებული საწარმო უფლებამოსილია შესაბამისი სატარიფო განაცხადით მიმართოს კომისიას ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი დანახარჯების შესაბამის ტარიფში ასახვის მიზნით.
15. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი მოდელის ამოქმედებამდე ელექტროენერჯის შესასყიდი ფასი მოიცავს ელექტროენერჯის გამანაწილებელი და გადამცემი სისტემის ოპერატორების მიერ შესასყიდი ელექტროენერჯის ფასს და აღნიშნული ოპერატორების მიერ

კანონმდებლობის შესაბამისად ელექტროენერჯის შესყიდვასთან დაკავშირებით გადასახდელ ტარიფებსა და საფასურებს.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 24 ივნისის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 25.06.2021 წ.